პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 186 (10 105) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პლენუმი

## მხარს უჭერს

**26 სექტემბერს ქ. თბილისში გაიმართა პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროფკავშირული სპორტული საზოგადოების პოზიციის შესახებ.**

**გთავაზობთ ამ დადგენილების სრულ ტექსტს:**

პლენუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) შექმნის მიზნით უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში გაშლილ მოძრაობაში თავიდანვე აქტიურად ჩაება პროფკავშირული სპორტსაზოგადოება, რომელმაც საზოგადოებასთან არსებულ სიჯანსაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკურ საქველმოქმედო ფონდთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა თავი საქართველოს ეოკ-ის დამფუძნებლად. კონფერენციის მოსამზადებლად საინიციატივო ჯგუფისა და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში ინტენსიურად მონაწილეობდნენ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოსა და მისი აპარატის წარმომადგენლები.

მხარს უჭერს რა სეოკ-ის შექმნას, საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი ადგენს:

**1. მოწონებულ იქნას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა.**

**წინადადება მიეცეთ საზოგადოების საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბჭოებს, სხვა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, ფიზკულტურის კოლექტივებს, საზოგადოების წევრებს აღმოუჩინონ ყოველმხრივი მორალური, აგრეთვე შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალური დახმარება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების საქმეში.**

**პლენუმი გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, ოლიმპიური ქარტიის ჰუმანური იდეების პროპაგანდას, რესპუბლიკის სპორტსმენთა საერთაშორისო სპორტულ და ოლიმპიურ მოძრაობაში ინტენსიურ ჩაბმას.**

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩი. თბილისის „დინამომ“ ვოლგოგრადის „როტორს“ უმასპინძლა.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.



კეტბურთი —— ვულ...

## გაისად — უმაღლეს ლიგაში

**ეს დღეებია, თბილისსა და ილიჩოვსკში, ოდესის ახლომდებარე სანავსადგურო ქალაქში, საკეტბურთო „ციებ-ცხელება“. თუმცა ილიჩოვსკში ყველაფერი უკვე დასრულდა, გახარკვევი გაირკვა და ამჯერად თბილისელ კეტბურთელთა გამარჯვების ამბავიც უნდა გაუწყოთ.**

ილიჩოვსკში შეიკრიბა 7 გუნდი — თბილისის „მერანი“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის წარმომადგენლები, მინსკის „მოტენა“, ბრატსკის, კრასნოიარსკის, ბაქოსა და ილიჩოვსკის კოლექტივები (გორკის გუნდი სასპარეზოდ არ ჩამოსულა) — რომელთაგან სპეციალისტები ფავორიტებად ასახელებდნენ თბილისელებს, მოსკოველებსა და კრასნოიარსკელებს. მათი აზრით, ამ სამი გუნდიდან ერთს უნდა მოეპოვებინა გაისად საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლება.

წინასწარ ვიტყვით, რომ სპეციალისტების ვარაუდი გამართლდა, მაგრამ ამ გამართლებას ნაწილობრივიც შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ფავორიტების ბრძოლაში აქტიურად ჩაერივნენ სხვა გუნდებიც.

ტურნირის საწყისი ეტაპი ჩვენ, მოსკოველებმა და ციმბირელებმა უდანაკარგოდ განვვლეთ. პირველ მატჩში „მერანმა“ 5-ქულიანი უპირატესობით დამარცხა ბაქოს გუნდი, შემდეგ მოუგო ბრატსკელებს (12:8), ილიჩოვსკელებს (15:10), მინსკელებს (22:1) და ისე, როგორც სხვებს, მოგება ჩაეთვალა ტურნირზე გამოუცხადებელ გორკელებთან. და აი, აქ მოხდა მოულოდნელობა, — მოსკოველთა გუნდის სატურნირო გრაფაში პირველად ჩაიწერა ნული — საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივმა ვერაფერი გააწყო მინსკის „მოტენასთან“ და დამარცხდა — 6:7. ამ მარცხით შეშფოთებულმა მოსკოველებმა ყველაფერი იღონეს ერთ-ერთი კონკურენტის, კრასნოიარსკის გუნდის დასამარცხებლად და მიაღწიეს კიდეც საწადელს — გაიმარჯვეს ანგარიშით 12:6. ამის მერე დაიწყო სწორედ ტურნირის გადამწყვეტი, ფინალურის ტოლფასი ეტაპი — წაუგებელ თბილისელებს თითო-თითო წაგებით „გააფთრებულ“ უშუალო კონკურენტებთან გვიწევდა შეხვედრა. მოსკოველებთან, რიგით მეექვსე, ბოლოსწინა თამაშში, მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა გვებრძოლა — თუ დავმარცხდებოდით, პირველი ადგილის დაკავების ყველა შანსს ვკარგავდით (წაგებათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, უპირატესობა „პირად შეხვედრაში“ გამარჯვებულს მიენიჭებოდა). ამ შეხვედრისთვის ჩვენმა მწვრთნელებმა მეტოქეს სიურპრიზი მოუმზადეს — პირველად ათამაშეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მტყორცნელი ხვიჩა ყაველაშვილი, რომელსაც მანამდე საგანგებოდ „ინახავდნენ“ და ასვენებდნენ. მისმა ზუსტმა, ძლიერმა და სტაბილურმა ტყორცნებმა ბევრწილად გადაწყვიტა კიდეც ამ უაღრესად დაძაბული მატჩის ბედი. ხვიჩას შედეგიანმა თამაშმა აშკარად გაანეიტრალა მოსკოველთა შეტევები, არადა, ისინი სწორედ ამით არიან ცნობილნი. საბოლოოდ, ეს მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა — 20:18. მართალია, ამ მოგებამ მიზანს მიგვაახლოვა (საბოლოოდ ჩამოვიცილეთ ერთ-ერთი კონკურენტი), მაგრამ საბოლოო თამაშო გვქონდა კრასნოიარსკელებთან, რომლებიც იმავე საღამოს ბაქოელებს ხვდებოდნენ, სხვებთან ერთად ჩვენც გვეგონა, რომ გაიმარჯვებდნენ და ტურნირის ლაურეატის ვინაობა ჩვენსა და მათ თამაშში გაირკვეოდა. სასტუმროში დაბრუნებულებმა მომავალ. ამ უმთავრეს თამაშზე დავიწყეთ ფიქრი და მზადება, მაგრამ... თურმე სულ ტყუილად ვირჯებოდით — ბაქოელებმა სენსაციურ გამარჯვებას მიაღწიეს, ასე რომ, პირველ ადგილს ველარავინ შეგვეცილებოდა (ამ თამაშის მერე ციმბირელთა წაგების გრაფაშიც „ორიანი“ ჩაიწერა). მომდევნო დღეს, მნიშვნელობადაკარგულ თამაშზე თბილისელთა მწვრთნელებმა, (მთავარი მწვრთნელი გიორგი პაიჭაძე) გამოცდილების მიღების მიზნით, სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანეს და, ცხადია, დავმარცხდით კიდეც, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს არაფერს ნიშნავდა — ჩვენ უკვე მანამდე მივულოცეთ გამარჯვება ერთმანეთს.

ერთი სიტყვით, თბილისის „მერანი“ გაისად უძლიერესთა შორის, საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. ისლა დაგვრჩენია, ასეთივე წარმატება ვუსურვოთ თბილისის „ივერიასაც“, რომელიც ახლოსაა მიზანთან.

**ალექსანდრე იოსელიანი,**
**თბილისის „მერანის“ მოთამაშე,**

**„ლელოს“ მიმომხილველი კეტბურთში.**

## ამჯერად ტოკიოში

**ტოკიო.** 2 ოქტომბერს აქ დაიწყება ჩოგბურთელ ქალთა გუნდური ტურნირი ფედერაციის თასზე. საბჭოთა ნაკრებში, რომელიც ოფიციალური კენჭისყრით მეექვსე ნომრად იყო განთესილი, გამოვლენ: ნატალია ზვერევა, ლარისა სავჩენკო, ლეილა მესხი და ნატალია მედვედევა. ტურნირის მთავარ ფავორიტად აშშ-ს გუნდი ითვლება (მარტინა ნავრატილოვა, კრის ევერტი, ზინა ჰარისტონი და პემ შრაივერი). შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი, მათ შორის დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი, ესპანელი არანტა სანჩესი, ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა და სხვ. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ბულგარეთის გუნდის ღირსებას დაიცავს სამი და — მანუელა, კატერინა და მაგდალენა მალეევები.

პირველ წრეში ერთმანეთს შეხვდებიან: სსრ კავშირი-შვეიცარია, აშშ — საბერძნეთი, იტალია — ახალი ზელანდია, კანადა — ბრაზილია, ესპანეთი — საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია — ბელგია, შვეცია — იაპონია, გფრ — ფინეთი, ავსტრალია — ლუქსემბურგი და სხვ.

## ხუთი ათასი — ფონდში!

**საქართველოს** წყალმაშველი საზოგადოების თავმჯდომარემ ვ. მურუსიძემ გვაცნობა, რომ ამ საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკურ საქველმოქმედო ფონდში გუშინ 5000 მანეთი გადარიცხა. საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე ახლა 26 სექტემბრის მონაცემებით სულ 200 000 მანეთამდეა შეტანილი. ფონდის მზრუნველთა საბჭო იწყებს შემოსავლის განაწილებას წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

## ველოსპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**თბილისში** ამ დღეებში ველოსიპედისტთა კიდევ ერთი საინტერესო შეჯიბრება გაიმართება. 28 ოქტომბერს თბილისი—წყნეთი — ბეთანიის გზის მეექვსე-ოცდამეორე კილომეტრზე მოეწყობა საკავშირო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში. როგორც საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ველოსპორტში შალვა სალარიშვილმა გვაცნობა, ამ დღეს, რესპუბლიკის ავტოინსპექციასთან შეთანხმებით, გზატკეცილის აღნიშნულ მონაკვეთზე დილის 10-დან 11 საათსა და 30 წუთამდე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყდება (გარდა სპეციალური დანიშნულების მანქანებისა).

თუ მოინდომებ, ყველაფერი შეიძლება...

## ზეიმი წყალზე

### ჩატარდა თბილისის სპორტკომიტეტის თაოსნობით

**ჩანაფიქრი ნამდვილად საინტერესო იყო — საწყლოსნო ზეიმი მტკვარზე — და ამინდიც ისეთი შეეწყო, ზეიმს რომ შეეფერება.**

იმ დღეს თბილისის ცენტრალურ სანიჩბოსნო სადგურს ვერ იცნობდით — უჩვეულოდ გაკოხტავებული ბაზა ნორჩების სამასპინძლოდ გამზადებულიყო. არდადეგებია, მაგრამ დათქმული დროისთვის სანაპიროზე საკმაოდ შეგროვდნენ ყმაწვილები. ზეიმის მთავარი მოქმედი პირნი თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საწყლოსნო სახეობების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მოსწავლეები გახლდნენ — მათ „აკადემიური“ ნავები და ბაიდარები წყალში ჩაუშვეს და ზეიმიც დაიწყო. ორგანიზატორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პასიური მაყურებლის როლში არავინ დატოვეს — საგანგებოდ გამზადებულმა, მორთულ-მოკაზმულმა დიდმა ტივმა მტკვარზე გასეირნების ყველა მსურველი დაიტია. და დაუყვა ტივი მტკვარს. ვინ იცის, რამდენმა ნორჩმა პირველად „დაადგა ფეხი“ მტკვარზე, პირველად შეავლო მზერა აქედან მშობლიურ ქალაქს. სპორტსმენებიც კი, ვისთვისაც მტკვარი, ჩვეულებრივ, სავარჯიშო სარბიელია, უჩვეულოდ აღტაცებულნი იყვნენ — საქართველოს სამფეროვანი დროშით მტკვრის ტალღებზე სრბოლას სხვა ეშხი და ლაზათი აქვს.

სპორტის საწყლოსნო სახეობათა მოყვარულების ზეიმი მეორე დღეს, კვირას, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გაგრძელდა. აუზში მოსულ მაყურებელს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს თბილისის „დინამოსა“ და უნივერსიტეტის წყალბურთელებმა, სპორტის ამ სახეობის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წარმომადგენლებმა, სინქრონული ცურვის ოსტატებმა, წყალში მხტომელებმა, მოცურავეებმა.

ზეიმის დასასრულ IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების ერთ ჯგუფს ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

**ავთანდილ გურასაშვილის**
**ტექსტი და ფოტოები.**




**IV ახალგაზრდული საკავშირო თამაშების პრიზიორების ერთ ჯგუფს საჩუქრები გადასცეს.**





**სინქრონული ხტომები**





**მტკვარზე სპორტული ზეიმის ფრაგმენტები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### განვიხილავთ „საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტს“

### 27 სექტემბერი ტურიზმის მსოფლიო დღეა

# „ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო...“

„ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება...“

აკაკი წერეთელი.

ამ დღეებში გამოქვეყნებული „საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი“ ჩვენი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს მოიცავს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარების საკითხებს, წარსულის სულიერ თუ მატერიალურ ღირებულებათა დაცვასა და შესწავლას, სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესების უზრუნველყოფას და ამ კულტურული მემკვიდრეობის ფართოდ ხელმისაწვდომობას როგორც რესპუბლიკის საზოგადოებისათვის, ისე უცხოელთათვის...



ვარძია.

„გაუმჯობესდება ისტორიულ და კულტურულ ღირსშესანიშნაობათა პოპულარიზაციის საქმე. უფრო ფართოდ მოიცავენ მათ საექსკურსიო-ტურისტული მარშრუტები. ამ საქობის მომსახურებით მიღებული შემოსავლის ნაწილი ძეგლების მოვლა-პატრონობას მოხმარდება“ — აღნიშნულია პროექტში.

ისევე როგორც მეურნეობის ბევრი სხვა დარგი, ძეგლთა დაცვა-აღდგენისა და ტურისტულ-საექსკურსიო საქმიანობა ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული.

ეკონომიკური სუვერენიტეტი ახალ პერსპექტივებს უქმნის ჩვენში ტურისტული ინდუსტრიის აღმავლობას. რესპუბლიკაში დიდი რეზერვები მოიპოვება იმისათვის, რომ ტურისტულმა მეურნეობამ საკუთარი ეკონომიკური საყრდენები განიმტკიცოს, თავისი წვლილი შეიტანოს საექსკურსიო ობიექტების კეთილმოწყობა-აღდგენაში და ქვეყნის ბიუჯეტსაც შესძინოს მნიშვნელოვანი შემოსავალი.

ბიუჯეტის გაზრდაში, განსაკუთრებით სავალუტო შემოსავალში, თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს ტურიზმმა; მაგრამ გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. ბურჯანაძე აღნიშნავს (გაზ. „თბილისი“, 30 აგვისტო, 1989 წ.), რომ „არც ისე იშვიათად გაიგონებთ, ჩემი აზრით, არაკომპენტენტურ გამოთქმას — საქართველოს შეუძლია საკუთარი თავი მხოლოდ ტურიზმით შეინახოსო. ეს არც სწორია და არც მიზანშეწონილი. ტურიზმს შეუძლია საგრძნობი წვლილი შეიტანოს რესპუბლიკის ბიუჯეტში, მაგრამ მას რესპუბლიკის შენახვა არ შეუძლია. არც სჭირდება საქართველოს მხოლოდ ტურიზმის იმედად ყოფნა და სხვა სფეროებში გულხელდაკრეფა“.

ბუნებრივია, მხოლოდ საქართველოს ტურიზმის ფინანსური შესაძლებლობების იმედზე ყოფნა და რესპუბლიკის მთელი საფინანსო სიმძიმის მასზე გადატანა, მხოლოდ იმ პრაგმატისტული და სტერეოტიპულად დამკვიდრებული, მომხმარებლური დამოკიდებულებით ალბეჭდილი აზროვნების გამოხატულებაა, როდესაც მეურნეობის ყველა მიმართულებით განსავითარებელი ქვეყნის ეკონომიკის რომელიმე, ერთი, თუნდაც ძალზე შემოსავლიანი დარგის იმედად დაიმშვიდო თავი. საკმარისია თუ დავასახელებთ რამდენიმე პრობლემას, რომელიც არ იძლევა გარანტიას ამ დარგის სწრაფი აღმავლობისათვის, წინასწარი ფართო მასშტაბის სამუშაოების განუხორციელებლად.

ეს ეხება უპირველესად, რესპუბლიკის სხვადასხვა კატეგორიის ტრასების მდგომარეობას, საზოგადოებრივი ობიექტების მომსახურების დაბალ დონეს, ტრანსპორტის სამსახურების არაორგანიზებულ მუშაობას, კვების ბლოკების მოუწესრიგებლობას, რომ აღარაფერი ვთქვათ სუვენირების, სარეკლამო და საცნობარო გამოცემებზე, პერიფერიული ტურისტული ობიექტების დაბალი დონის სამეურნეო ბაზებზე და აღჭურვილობაზე, დასვენებისა და გართობის საშუალებათა მრავალფეროვნების დეფიციტზე და ა. შ.

თუნდაც ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი უფრო მეტ ლტოლვას იჩენს უცხოეთში ტურისტული მოგზაურობისადმი, ვიდრე ინტერესდება რესპუბლიკის შიგნით არსებული, უფრო იოლად ხელმისაწვდომი კულტურული კერების ნახვით, — სულაც არაა მხოლოდ უცხოური „სავაჭრო ცენტრების ფაქტორით“ განპირობებული მოვლენა; ეს იმ დისკომფორტისა და არადამაკმაყოფილებელი მომსახურების ბრალია, რაზეც ხშირად არა მარტო ჩვენი, არამედ „ორგანიზებული“ საკავშირო ტურისტული ჯგუფები და უცხოელებიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას.

შესაძლებლობის მიხედვით ამ ხარვეზების გამოსწორება აამოქმედებს იმ რეზერვს, რომელიც დღესდღეობით ტურიზმს საგრძნობლად აზარალებს.

ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ არასტაბილურ ეკონომიკურ ვითარებაში ტურიზმს მართლაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რამდენადაც იგი „წარმოების“ ის სფეროა, სადაც სტუმარი „ტოვებს ფულს და მიაქვს მხოლოდ შთაბეჭდილება“, მაგრამ არა მარტო ტურისტული სამსახურების, რომელთა ვალდებულებასაც სტუმრისთვის კომფორტის შექმნაც წარმოადგენს, არამედ რესპუბლიკის ყველა სფეროს მუშაკის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ვალია „იმუშაოს“ ამ შთაბეჭდილების შესაქმნელად.

ეროვნული განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს ურთიერთობის გაფართოებას უცხოეთთან, ეს კი ქმნის იმის გარანტიას, რომ საზღვარგარეთელი სტუმრები მოუმრავლდება საქართველოს, მათგან, არც თუ ცოტას გაუჩნდება სურვილი დამოუკიდებლად მოგზაურობისა საქართველოში.

თუ ჩვენი ფართო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება მრავალგვარი მოვლენების მიმართ არ იქნა კონცენტრირებული და მობილიზებული, თუ არ ვიქნებით ჩვენსავე „სახლში“ ორგანიზებულნი, პასუხისმგებლობის გრძნობით განწყობილნი, „საზღვრების გახსნამ“ შეიძლება რესპუბლიკის პრესტიჟს ვნება მოუტანოს და უკუშედეგი გამოიწვიოს...

სწორად შენიშნავს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ჩხაიძე, რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლის საკითხებს რომ ეხება: „სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნა უმაღლეს პროფესიონალიზმსა და კულტურას მოითხოვს, ჩვენ კი ჯერ კიდევ ვრჩებით მძიმე, უხერხულ, ამოუცნობ პარტნიორებად...“ (გაზ. „თბილისი“, 12 ივლისი, 1989 წ.), — ეს ფაქტორები ტურისტულ მეურნეობაზეც ვრცელდება.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის დროს გასათვალისწინებელია რესპუბლიკის მშრომელთა საოჯახო დასვენების ორგანიზაციის საკითხებიც.

როგორც ცნობილია, შატილის ტურისტულ ბაზაში ჩასულ სტუმრებს თვით შატილიონები ემსახურებიან, რაც მნიშვნელოვან მომენტადაა მიჩნეული ადგილობრივ მკვიდრთა დამაგრებისათვის ამ რეგიონში.

„რესპუბლიკაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება, თანამედროვე დონეზე მატერიალური ბაზის შექმნა და მომსახურების გაუმჯობესება მხოლოდ ამ გზით შეიძლება“ — ასკვნის ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. ბურჯანაძე საგარეუბნო და ახლომდებარე ტურისტული ობიექტების განვითარებაზე საუბრისას.



ალავერდი.



თეთრი მღვიმე (წყალტუბო).

როგორც სპეციალისტები განსაზღვრავენ, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით „ჩვენს რესპუბლიკაში დასვენების ინდუსტრიაში დასაქმებული უნდა იყოს დაახლოებით 150 ათასი ადამიანი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 8,5-10 პროცენტი. ამას შედეგად მოჰყვება ადგილობრივი მოსახლეობის რიცხობრივი სტაბილიზაცია; ახალგაზრდობის მიგრაცია შემცირდება; დიასახლისებისა და პენსიონერების დასაქმება დამსვენებელთა მომსახურების სფეროში, რაც აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობას გაუჩენს დამატებით შემოსავლის წყაროს; ამას გარდა გაცილებით მეტი ყურადღება მიექცევა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობას, ძეგლთა დაცვასა და რესტავრაციას....“ (ბ. ჩხაიძე).

ძეგლთა დაცვის დაქვემდებარებაში მყოფი სამუზეუმო კომპლექსებიდან, როგორიცაა მცხეთის, ვარძიის, უფლისციხის, დავით გარეჯისა და სხვა მუზეუმ-ნაკრძალები, რომელთა რაოდენობა 12-მდე აღწევს, წარმატებით ცდილობენ განავითარონ დამოუკიდებელი მეურნეობა, რისთვისაც ეძიებენ სამეურნეო რეზერვებს და სრულყოფენ დამთვალიერებელთა მომსახურების დონეს.

ისინი ადგილზე, საკუთარი ძალებით ქმნიან დამატებით პროდუქციას და მათი რეალიზაციით მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობენ; მაგრამ ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში, შემოსავლის დამატებითი წყაროების ძიება სულაც არაა იმის გარანტია, რომ უზრუნველყოფილი იქნას მომსახურების დონის ეფექტურობა.

უცხოელი ტურისტისათვის კომფორტული სასტუმროები და მაღალი დონის მომსახურება, შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივი მოვლენაა ანუ „განვლილი ეტაპია“. ისინი უკვე „გაურბიან“ ხმაურიან ცენტრებს და ხალხმრავალ გარემოს. ალბათ, საჭირო იქნება იმის გათვალისწინება, რომ პერიფერიულ ზონებში შეიქმნას ეროვნული ნიშნებით დამახასიათებელი ისეთი მიკროგარემო, სადაც სტუმარს შეეძლება გარკვეული დროით დარჩენა.

ასეთი პირობების შექმნის კარგი შესაძლებლობები გააჩნია ზემოაღნიშნულ მუზეუმებს, რომელთაგან უფლისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ექსპერიმენტის სახით, მუზეუმ-ნაკრძალის (კომპლექსის დირექტორი კ. სადაღაშვილი) თანამშრომელთა ინიციატივით ღიაცის ქვეშ ეწყობა ეროვნული კუთხეები, სადაც უნიკალური ვაზის ჯიშების და ხეხილის ბაღებში, საკუთარი საფუტკრე მეურნეობიდან იღებენ თაფლს, ამზადებენ სხვადასხვა ხილეულის წვენსა და ეროვნულ ნუგბარს; საკუთარ თონეში გამომცხვარი პურით უმასპინძლდებიან დამთვალიერებლებს, რაც დამატებითი შემოსავლის გარდა სტუმართა შთაბეჭდილებას აძლიერებს.

განზრახულია ძეგლის სიახლოვეს ნასოფლარი ძველი უფლისციხის აღდგენა. იგი აღდგება ისე, რომ ქართული სოფლის სახე შეინარჩუნოს; მუზეუმის თანამშრომლებს განზრახული აქვთ შექმნან კულტურის კერა. საკუთარი საბიბლიოთეკო ფონდი; საცხოვრებელი სახლები უნდა იქცეს კეთილმოწყობილ კომფორტულ სასტუმროებად, სადაც არა მარტო უცხოს, აქაურ ტურისტსაც ჰქონდეს დარჩენისა და ლამისთევის საშუალება... უფლისციხე არსებობის 3000-წლოვანი იუბილესათვის ემზადება...

ბულგარეთში პეტრიწონის ქართული მონასტრის სიახლოვეს, ლამაზ, ტყიან ლანდშაფტში დგას სწორედ ამგვარი სასტუმროს შენობა, სადაც იქაურები ოჯახთან ერთად თავისუფალ დროს სიამოვნებით ატარებენ, თუმცა... უცხოეთში ასეთი დასასვენებელი კერების არსებობა არავის უკვირს.

თუ ორ-სამ კეთილმოწყობილ ობიექტს არ ჩავთვლით, მასობრივი ტურიზმის თვალსაზრისით, რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის სრულიად მიუწვდომელია საქართველოს ბუნების ძეგლები, კარსტული მღვიმეთა მდიდარი და მრავალფეროვანი ეროვნული ფონდი, მათგან ერთადერთი კეთილმოწყობილი მღვიმე მხოლოდ ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლით ინტერესდება, მაშინ, როცა ჩეხოსლოვაკიაში მოქმედებს 24 კეთილმოწყობილი ამგვარი ობიექტი, რომელთაგან შემოსავალსაც ღებულობენ და რიგი მიწისქვეშა კომპლექსები მთლიანად ბავშვების ჯანმრთელობის გაკაჟების, სპორტული ღონისძიებებისა და გართობა-დასვენების კერებადაა ქცეული.

ლიპტოვსკი მიკულაშის ერთ-ერთ მღვიმურ კომპლექსში, რომელსაც „დემიანოვსკა“ ჰქვია, ერთი დარბაზი განკუთვნილია საზეიმო ცერემონიალების, საესტრადო პროგრამების, სპორტული თუ სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, რომელთაც მრავალი მაყურებელი ჰყავს...

ზამთრობით, მღვიმის ერთ-ერთ ვრცელ გალერეაში ახალგაზრდა სპორტსმენები თოკებით ასვლა-დაშვებაში ვარჯიშობენ.

მორავიის კარსტის ერთ-ერთი შესანიშნავი მღვიმე — „ამატერსკაია“, ბავშვთა სპელეოთერაპიული მკურნალობისთვისაა გამოყენებული. მიწის ქვეშ, 100 მეტრის სიღრმეზე, ბიოლოგიურად წმინდა, იონიზებული ჰაერის და სტაბილური ტემპერატურის გარემოცვაში მოჰყავთ ბავშვები და 3-3 საათით რჩებიან სამ კვირიანი ციკლის პერიოდულობით....

ზოგიერთი მღვიმის ვრცელ დარბაზში შექმნილი აქვთ სპორტული მიკროკომპლექსები. მოზარდებს აქა აქვთ კალათბურთის მოედანი, მაგიდის ჩოგბურთის „დარბაზი“, იქვე — „დასასვენებელი ოთახი“ დასაკეცი საწოლებით და ა. შ.

ჩვენს რესპუბლიკაში სამკურნალოდ გამოყენებულია მხოლოდ წყალტუბოს ზონის მღვიმე, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ჩვენი საქართველოს ფარგლებს გარეთაც, როგორც ასთმური დაავადებების სამკურნალო მიკროკლიმატური ობიექტი. სამწუხაროდ, იგი არაა სათანადოდ კეთილმოწყობილი და ქალაქის სანატორიუმებში ჩამოსული დამსვენებლები ექსპერიმენტული პროცედურებით კმაყოფილდებიან...

საქართველოში არაერთი ღირსშესანიშნავი ბუნების ძეგლია, რომლებიც, კეთილმოწყობის შემთხვევაში, ახალგაზრდობის დასასვენებელ ადგილად და საინტერესო ტურისტულ ობიექტად შეიძლება იქცეს.

გამოქვეყნებული პროექტი, როდესაც საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით დამტკიცდება და ეროვნული ინტერესების განხორციელების საქმეში ჩადგება, დაფარულ რეზერვებს გამოავლენს და ერს უკეთესი მერმისის შესაქმნელად მრავალმხრივ სამსახურს გაუწევს.

საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის შემდგენლებსაც ხომ: „თავის უმაღლეს მიზნად და ამოცანად ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვითგამორკვევის უზრუნველყოფა მიაჩნია“...



უფლისციხე.



თმოგვის ციხე.

სიმონ ჯაფარიძე,
ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი ინსპექტორი, ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო საქართველოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

• • •

ავთანდილ გურასაშვილის, თამაზ ქიქავასა და ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„სპარტაკი“ — „შახტიორი“ 2:0 (1:0). გოლები: როდიონოვი, პასულკო („სპარტაკი“), მოსკოველ ს. როდიონოვის მიერ 23-ე წუთზე დარტყმული თერთმეტმეტრიანი მოიგერია „შახტიორის“ მეკარე მიხაილოვმა.

გააფრთხილეს გოშკოდერია („შახტიორი“).

დუბლიორები — 3:0.

„დინამო“ (კიევი) — „ჟალგირისი“ 2:1 (1:0). გოლები: ლიტოვჩენკო, ზაეცი - („დინამო“), ფრიდრიკასი („ჟალგირისი“).

დუბლიორები — 2:3.

„პამირი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:1). გოლები: კოლივანოვი („დინამო“), აზიმოვი („პამირი“).

გააფრთხილეს მუხამადიევი („პამირი“).

დუბლიორები — 0:1.

„როტორი“ — „ტორპედო“ 2:2 (2:1). გოლები: პოლსტიანოვი, კრუშინი („როტორი“), სავიჩევი, აგაშკოვი („ტორპედო“).

დუბლიორების მატჩი არ შემდგარა.

„დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“ 3:1 (1:0). გოლები: სონი, ლიუტი-2, („დნეპრი“), იმრეკოვი („ჩერნომორეცი“).

დუბლიორები — 1:0.

„ზენიტი“ — „მეტალისტი“ 2:2 (0:1). გოლები. ტარასოვი-2 („მეტალისტი“), სტეპანოვი, ჩუხლოვი („ზენიტი“).

გააფრთხილეს შერბაკი („მეტალისტი“).

დუბლიორები — 0:0.

„დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ 1:1 (1:0). გოლები: მარხელი („დინამო“), ილიალეტდინოვი („ლოკომოტივი“).

დუბლიორები — 1:0.

● ამ ტურში გატანილია 23 ბურთი. 14 გოლი მოდის მასპინძლების ანგარიშზე, 9 ბურთი კი სტუმრებმა გაიტანეს. სულ კი წლევანდელ გათამაშებაში გატანილია 432 გოლი, აქედან 275-ჯერ აიღეს სტუმართა კარი, ხოლო 157-ჯერ ბურთი მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

● ბომბარდირთა დავაში ლიდერობას განაგრძობს ს. როდიონოვი. მის ანგარიშზე 16 ბურთია, ოთხი ბურთით ნაკლები გაიტანა კონდრატიევმა („ჩერნომორეცი“). 11-11 ბურთი აქვთ გატანილი მოსკოვის დინამოელებს დობროვოლსკის და კოლივანოვს.

● წლევანდელ სეზონში ყველაზე მეტი გაფრთხილება მიიღეს მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა — 31 ყვითელი ბარათი, 25 გაფრთხილება აქვს „ჟალგირისს“, 24 — „ზენიტს“, 22-22-ჯერ დაიმსახურეს ყვითელი ბარათი მოსკოვის „დინამოსა“ და „პამირის“ ფეხბურთელებმა.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 27 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მნ. | 26 | 17 | 5 | 4 | 51-25 | 39 |
| „სპარტაკი“ | 26 | 15 | 8 | 3 | 56-20 | 38 |
| „დნეპრი“ | 26 | 15 | 8 | 3 | 37-23 | 38 |
| „დინამო“ კ. | 26 | 14 | 7 | 5 | 49-19 | 35 |
| „ჟალგირისი“ | 26 | 14 | 7 | 5 | 42-21 | 35 |
| „ლოკომოტ.“ | 26 | 12 | 4 | 10 | 45-26 | 28 |
| „დინამო“ თბ. | 26 | 10 | 8 | 8 | 43-38 | 28 |
| „დინამო“ მ. | 26 | 12 | 3 | 11 | 41-41 | 27 |
| „ტორპედო“ | 24 | 8 | 10 | 6 | 29-28 | 26 |
| „არარატი“ | 26 | 8 | 7 | 11 | 31-48 | 23 |
| „შახტიორი“ | 26 | 8 | 5 | 13 | 27-37 | 21 |
| „მეტალისტი“ | 25 | 6 | 5 | 14 | 23-43 | 17 |
| „პამირი“ | 26 | 5 | 6 | 15 | 23-51 | 16 |
| „ზენიტი“ | 26 | 6 | 3 | 17 | 21-48 | 15 |
| „როტორი“ | 25 | 5 | 5 | 15 | 21-48 | 15 |
| „ჩერნომორ.“ | 26 | 4 | 5 | 17 | 30-53 | 13 |

## I ლიგა

**გუშინ** ბათუმში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის XXXV ტურის ბოლო მატჩი. ბათუმის „დინამომ“ კრასნოდარის „ყუბანს“ უმასპინძლა.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

**ტურის სხვა მატჩები:** „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:2, „დინამო“ (სტავროპოლი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 4:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:1, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:2, ცსკა — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 33 | 21 | 8 | 4 | 82-21 | 50 |
| „კაირატი“ | 34 | 20 | 7 | 7 | 64-28 | 47 |
| „გურია“ | 33 | 20 | 7 | 6 | 58-30 | 47 |
| „ფაკელი“ | 33 | 16 | 8 | 9 | 38-26 | 40 |
| „ფახთაქორი“ | 34 | 15 | 9 | 10 | 50-28 | 39 |
| „დინამო“ სტ. | 33 | 14 | 11 | 8 | 41-33 | 39 |
| „ნეფთჩი“ | 33 | 14 | 10 | 9 | 46-34 | 38 |
| „გეოლოგი“ | 34 | 15 | 6 | 13 | 40-39 | 36 |
| „ტავრია“ | 33 | 14 | 8 | 11 | 53-43 | 36 |
| „ნისტრუ“ | 34 | 16 | 3 | 15 | 38-50 | 35 |
| „მეტალურგი“ | 33 | 14 | 7 | 12 | 43-33 | 35 |
| „კოტაიკი“ | 33 | 11 | 12 | 10 | 36-30 | 34 |
| „ტორპედო“ | 32 | 14 | 4 | 14 | 50-53 | 32 |
| „შინიკი“ | 34 | 10 | 10 | 14 | 37-54 | 30 |
| „როსტსელ.“ | 33 | 9 | 12 | 12 | 29-34 | 30 |
| „სპარტაკი“ | 33 | 10 | 8 | 15 | 39-47 | 28 |
| „დინამო“ ბ. | 34 | 9 | 10 | 15 | 31-50 | 28 |
| „ყუბანი“ | 34 | 9 | 9 | 16 | 31-62 | 27 |
| ასკ რ. | 33 | 7 | 10 | 16 | 42-59 | 24 |
| „კუზბასი“ | 33 | 7 | 10 | 16 | 18-36 | 24 |
| „დაუგავა“ | 34 | 6 | 6 | 22 | 22-59 | 18 |
| ასკ „კარპატი“ | 34 | 5 | 7 | 22 | 32-70 | 17 |

**მორიგი** XXXVI ტურის მატჩები 28 სექტემბერს გაიმართება. ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიდან მხოლოდ ლანჩხუთის „გურია“ ითამაშებს შინ. მისი მეტოქე აბოვიანის „კოტაიკი“ იქნება.

### ახალგაზრდული ასოციაციის თაოსნობით

ქ. ლივერპულის ახალგაზრდულმა ასოციაციამ ამას წინათ მოაწყო ტურინის „იუვენტუსის“ 23 ყველაზე უფრო თავგამოდებული გულშემატკივრის მოგზაურობა ბითლზის ქალაქში. ლივერპულში ამ სტუმრობის მიზანია იმ გამძაფრებული ურთიერთობის შენელება, რომელიც ინგლისელ და იტალიელ გულშემატკივრებს შორის შეიქმნა ბრიუსელის სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### საპასუხო მატჩების წინ

**დღეს**, ევროპაში, შეიძლება ითქვას, დიდი საფეხბურთო დღეა, დიდი და, რაც მთავარია, ძალზე საინტერესო.

ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების განმეორებითი მატჩების წინ საბჭოთა კლუბებს საკმაო საბაბი აქვთ ოპტიმისტური განწყობისთვის. როგორც გახსოვთ, მათი მონაწილეობით ექვსი მატჩი გაიმართა და ყველას შედეგი შეიძლება აქტივში ჩაიწეროს. ის ერთადერთი ფრეც (0:0), რომელსაც მოსკოვის „სპარტაკმა“ მიაღწია სტუმრად იტალიის „ატალანტასთან“, უდავოდ შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს, რადგანაც შინ ნებისმიერი ანგარიშით მოგებას „სპარტაკი“ მეთექვსმეტედფინალში გაჰყავს.

რახან საუბარი უეფა-ს თასის გათამაშებით დავიწყეთ, აქვე გავიხსენოთ ამ ტურნირში მონაწილე სხვა საბჭოთა გუნდების შედეგები პირველ მატჩებში: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ნესტვედი“ (დანია) 3:1, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „გიოტებორგი“ (შვეცია) 2:0, „დინამო“ (კიევი) — მტკ-ვმ (უნგრეთი) 4:0.

უდავოა, რომ გათამაშების მეორე წრეში გასვლის ყველაზე რეალური შანსი კიეველ ფეხბურთელებს აქვთ, რომლებმაც, არ შევცდებით თუ ვიტყვით, თავიანთი საუკეთესო მატჩი ითამაშეს წლევანდელ სეზონში. გატანილი ოთხი მშრალი გოლი თითქმის ასპროცენტიან გარანტიას აძლევს „დინამოს“.

თავის გამოჩენის კარგი შესაძლებლობა მიეცა ლენინგრადის „ზენიტს“, რომელიც თავის მეტოქეზე მთელი თავით მაღლა იდგა პირველ მატჩში. რა თქმა უნდა, ანგარიში 3:1 გარკვეული სიმშვიდების უფლებასაც იძლევა, მაგრამ ლენინგრადელებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ მეტოქის მინდორზე მათ კარში გატანილი ორი უპასუხო გოლი საერთო გამარჯვებას „ნესტვედს“ მიანიჭებს.

ყველაზე რთული მატჩი ამ ტურნირში მაინც ვილნიუსის „ჟალგირისს“ მოელის. „გიოტებორგი“ არ არის ის გუნდი, რომელიც ადვილად დასთმობს პოზიციებს და ბოლომდე არ იბრძოლებს გამარჯვებისთვის, მითუმეტეს, საკუთარ მოედანზე. ამის თქმის საბაბს გვაძლევს ის ფაქტიც, რომ ისინი უკვე ორჯერ ფლობდნენ უეფა-ს თასს და ამჯერადაც ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ გააგრძელონ ბრძოლა ევროპის საკლუბო ტურნირების ძალზე საპატიო პრიზის მოსაპოვებლად.

საერთოდ, ამ ტურნირის წილისყრას ერთმანეთის წინაშე პირველივე ეტაპზე არ დაუყენებია ძლიერი კოლექტივები. არ ყოფილა მოულოდნელი შედეგები პირველ მატჩებშიც, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ სამი წყვილი, სადაც შედარებით თანაბარძალოვანი კლუბები თამაშობენ და გავიხსენოთ პირველი შეხვედრის შედეგები: „შტუტგარტი“ (გფრ) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 2:0; „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია) 1:0, „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „ნაპოლი“ (იტალია) 0:0.

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაზე მოსკოვის „ტორპედოს“ უკვე თამამად შეუძლია მეორე ეტაპისთვის მზადების დაწყება. როგორც გახსოვთ, მან გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა ირლანდიის „კორკ სიტი“ — 5:0. ამ მატჩის უშუალო მხილველები ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ირლანდიის კლუბი საკმაოდ ჩამორჩება „ტორპედოს“ სათამაშო კლასით და, ამიტომაც, რაიმე მოულოდნელობაზე ლაპარაკი განმეორებით შეხვედრაში ზედმეტად მიგვაჩნია.

ძალზე საინტერესო მდგომარეობაა ჩემპიონთა თასის გათამაშების ტურნირში. როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირიდან აქ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ მონაწილეობს. ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდთან“ სტუმრად ანგარიშით 2:1 გამარჯვების შემდეგ, საფიქრალია, რომ დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები ხელიდან არ გაუშვებენ ასეთ ხელსაყრელ შესაძლებლობას. მაგრამ, მოდით, თვალი გადავავლოთ „დნეპრის“ პოტენციურ მეტოქეებს.

რუმინეთისა და საერთოდ, ევროპის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა, „სტიაუამ“ შინ ანგარიშით 4:0 დაამარცხა ისლანდიის „ფრამი“ და სერიოზული განაცხადი გააკეთა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ეჭვს არ იწვევს დასავლეთგერმანულ კლუბ „ბაიერნის“ გამარჯვებაც, რომელმაც პირველ შეხვედრაში სტუმრად დაამარცხა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“ —3:1. კარგად ითამაშა მეტოქის მოედანზე პორტუგალიის „ბენფიკამაც“, რომელმაც ანგარიშით 2:1 სძლია ირლანდიის „დერი სიტის“. ფრე — 0:0, ასე ითამაშეს ნორვეგიის „რუსენბორგმა“ და ბელგიის „მეჰელენმა“, რაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ამ უკანასკნელს საკუთარ მინდორზე თამაშის წინ. სამი მშრალი ბურთი გაიტანა მეტოქის მოედანზე მადრიდის „რეალმაც“ და ამით ლუქსემბურგის „სპორას“, ალბათ, შემდგომი წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. ძალზე საინტერესო იქნება შვეციის „მალმიოსა“ და იტალიის „ინტერის“ შეხვედრაც. პირველი მატჩი იტალიელებმა მინიმალური ანგარიშით 0:1 წააგეს და ახლა ყოველნაირად შეეცდებიან შინ რევანშის აღებას.

ერთი სიტყვით, „დნეპრს“ წინ ძალზე ძლიერი მეტოქეები ელოდება.

თუმცა, მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს და დავიცადოთ სალამომდე, რომელიც ბევრ საინტერესოს გვპირდება.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

# გამარჯვება, რომელმაც ჩემპიონობა ესოდენ რეალობად აქცია

**ქუთაისი.** რაგბის მოედანი. 25 სექტემბერი. 8 ათასი მაყურებელი.

„აია“ (ქუთაისი) — სსა (მონინო) 15:10 (15:3).

**„აია“:** ზუევი, ყორყოლიანი, ხამაშურიძე, გეგუჩაძე, ე. ძაგნიძე, ნ. ძაგნიძე, ლოსაბერიძე, ფირცხალავა, ტურძელაძე, ლილუაშვილი, ფხაკაძე, ისაკაძე, ნაჭყებია, ოდიშარია, ზ. ლიპარტელიანი.

**სსა:** ვოროპაევი, ჭინოხოდოვი (სოროკინი, 52), დიატლოვი, კასატკინი, სუხოვი, მირონოვი, ფრანცუზოვი, კირიაკოვი, ბურმისტროვი, ლახტინი (კორიაბინი, 41), ოვჩინიკოვი, კლიმენკო, ემელიანოვი, სოკოლოვი, ტიხონოვი.

მსაჯი — ალექსანდრე ბერზინი (მოსკოვი).

გოლები: „აია“ — ლელო (5, ნაჭყებია), გარდასახვა, არეკნი (12) და 2 საჯარიმო (25, 39): ნ. ძაგნიძე; სსა — 2 საჯარიმო (15, 45: ვოროპაევი), ლელო (75, ტიხონოვი).

ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე საუბარი, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისელ და მონინოელ მორაგბეთა მატჩს. ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე დაწინაურებული „აია“ ხომ მხოლოდ ქულითთა უსწრებდა თავის უმთავრეს მდევარს. გაიმარჯვებდნენ მასპინძლები და თავი ქუდში ექნებოდათ, ვინაიდან დარჩენილი ორი მატჩიდან თუნდაც ერთის მოგება (ქუთაისში 9 ოქტომბერს, მოსკოვის „ლოკომოტივთან“) არ უნდა გაუჭირდეთ. მოიგებდნენ სტუმრები და ქულით გადაასწრებდნენ ჩვენებს. თუ იმსაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ტურში სსა-მ უნდა უმასპინძლოს „აიას“, მაშინ გაგარინელთა პერსპექტივა საიმედოდ გამოიყურებოდა.

სატურნირო ვითარებამ თამაშის უშეღავათობა განაპირობა. „აიამ“ თამაში მაღალ ტემპში დაიწყო და წარმატებასაც მალე მიაღწია. მე-5 წუთზე მორკინალებმა მეტოქის ლელოსთან მოლი შექმნეს, ბიძგით უკან დაახევინეს მეტოქეს, მერე ბურთი გადააწოდეს ნაჭყებიას, რომელმაც ნახტომით დაამიწა ბურთი სსა-ს კარის ხაზს მიღმა. ნუგზარ ძაგნიძემ რთული პოზიციიდან გარდასახა ლელო — 6:0.

წარმატებამ ჩვენებს ფრთები შეასხა. მალე კვლავ ძაგნიძემ ისახელა თავი. სტუმრებმა ქუთაისელთა დამრტყმელი წამით უმეთვალყუროდ დატოვეს; ნუგზარმაც ისარგებლა ამით და ერთობ უხერხული მდგომარეობიდან, შეტრიალებით ზუსტად დაარტყა არეკნით — 9:0.

ღირსეულ მეტოქეთა შეხვედრაში ერთი მხარის ესოდენ მალ დაწინაურებას არავინ ელოდა. მაგრამ ამას ახსნა ადვილად მოეძებნება. საქმე ისაა, რომ ამ დღეს კვლავ გაიბრწყინეს „აიასა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველებმა — ძაგნიძემ და მამუკა ლოსაბერიძემ. ლოსაბერიძემ დაამტკიცა, რომ იგი უდავოდ უმაღლესი ლიგის საუკეთესო მეცხრე ნომერია, ძაგნიძემ კი პირდაპირ მიზანში ამოიღო მეტოქის კარი — ხუთჯერ დაარტყა არეკნით და თუმცა მხოლოდ ერთხელ მიაღწია მიზანს, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს გოლი ჭეშმარიტად „ოქროსი“ ყოფილა.

მე-15 წუთზე „აია“ თამაშგარეთ აღმოჩნდა და ვოროპაევმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო, რასაც ძაგნიძემ კიდევ ორი, მეტად რთული საჯარიმოს შეგდებით უპასუხა — 15:3.

შესვენების შემდეგ გაავთრებული სსა იერიშზე გადმოვიდა, მაგრამ მასპინძლები ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ სტუმრებს. ამიტომ, თუ ბრგე ტიხონოვის მიერ მატჩის ბოლოს გატანილ ლელოს არ ჩავთვლით, სსა-ს ბურთის გატანის შანსი, ფაქტიურად, არც ჰქონია. და მაინც, თამაშის მიწურულს სსა-მ სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა, მაგრამ აქ ქუთაისელებმა იყოჩაღეს, თამაში სტუმართა ნახევარზე გადაიტანეს, კინაღამ ლელოც გაიტანეს, თუმცა ამ წარუმატებლობას გამარჯვებისთვის აღარაფერი დაუკლია.

**თამაზ ხარაბაძე,**
„ლელოს“ საკ. კორ.
ქუთაისი.

**თბილისი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 25 სექტემბერი.

„ელმავალი“ (თბილისი) — „სლავა“ (მოსკოვი) 24:18 (6:10).

**„ელმავალი“:** საცერაძე; ა. ხვედელიძე, ჰეიშვილი, ლვინიაშვილი, ნატროშვილი; თავაძე, ქერაული (ჩავლეიშვილი, 47); ბაკურაძე, ჯაფარაშვილი, კ. გიუნაშვილი; ნარიმანიძე, ხუადე, რაფავა, გ. გიუნაშვილი; ლუდუშაური.

**„სლავა“:** იგნატიევი; ბერზინი (შლიმერი, 70), კარპოვი, ფალინი, ნეფიოდოვი; პარშინი, დემიდოვი; სამარდინი, მედეკშა. მოლჩანოვი (იუხნო, 70); ფედორკოვი, სტრელნიკოვი, ბარინოვი, ვალიალშჩიკოვი; ფოკინი.

მსაჯი — გოჩა აბაშიძე (თბილისი).

გოლები: „ელმავალი“ — 8 საჯარიმო (8, 23: ნატროშვილი; 50, ჩავლეიშვილი), არეკნი (62, ჩავლეიშვილი), 2 ლელო (68, ხუადე; 81, ხვედელიძე) გარდასახვებითურთ (70, ჩავლეიშვილი; 82, ნატროშვილი); „სლავა“ — 3 არეკნი (7, იგნატიევი; 37, 74: პარშინი), ლელო (41, ფედორკოვი).

**მატჩის** პირველსავე წუთზე თბილისელებმა თავისივე ნახევრიდან წამოიწყეს კონტრიერიში, რომლის დასკვნით ფაზაშიც ლუდუშაურმა გაარღვია მეტოქის დაცვის ხაზი. სტუმრებმა ჩვენი თავდამსხმელი ლელოდან ორიოდე მეტრში კი შეაჩერეს, მაგრამ თბილისელმა მორკინალებმა ბურთთან მისვლა დაასწრეს მოსკოველებს, ზედახორაში ხელთ იგდეს ბურთი და როცა იერიში ახლად უნდა წამოეწყოთ, „სლავას“ ისღა დარჩენოდა, თამაშგარე მდგომარეობის წესი დაერღვია. ნატროშვილმა იოლი საჯარიმო შეაგდო და გუნდი დააწინაურა.

ზემოაღწერილი სურათი ერთობ დამახასიათებელი იყო ამ თამაშისთვის. „სლავას“ წელს ახალი მწვრთნელი, წარსულში სსა-ს ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი ევგენი ანტონოვი ავარჯიშებს. ანტონოვის გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა თვითმყოფადი სათამაშო სტილით, ერთთავად ერიდებოდა მეტოქესთან შეხლა-შემოხლას, ბურთის განივად გათამაშებას ამჯობინებდა და მეტწილად წარმატებასაც აღწევდა. მაგრამ დღეს, როცა უმაღლესი ლიგის ყველა გუნდმა მეტნაკლებად აითვისა ზეაგრესიული, ზეძალისმიერი „ახალზელანდიური“ სტილი, ანტონოვის „თეორიებს“ ყავლი გაუვიდა. მით უფრო, რომ, როგორც ჩანს, თვით ეს „თეორიებიც“ უკუღმართად განვითარდა, რაგბის თამაშის არსს — ბურთით წინსვლას დაშორდა და წამგებიანად იქცა.

ეს „ელმავალ“ — „სლავას“ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. „სლავას“, რომელიც ოდენ ორკაციანი დერეფნის იმედად იყო, გამარჯვების არანაირი შანსი არ ჰქონია. თბილისელთა მორკინალებმა მეტისმეტად „შეაწუხეს“ და შეავიწროვეს მეტოქე გაუთავებელი მოლებით, ზედახორებითა და ძალისმიერი იერიშებით. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ძმები გიუნაშვილები. უფროსმა, გიამ, მოლიდან მიღებული ბურთით სამი დიდებული გარღვევაც კი განახორციელა, რომელთაგან ერთი ხუადემ მოხდენილი ლელოს გატანით დაამთავრა. მაგრამ მორკინალთა საგრძნობი უპირატესობა ანგარიშში არ ასახულა, სანამ თბილისელ ნახევარმცველთა წყვილი შეიცვლებოდა. თუ ქერაული და თავაძე მთლად კარგად ვერ იყენებდნენ მორკინალთა გარჯით მოპოვებულ ბურთებს, ნატროშვილმა და, განსაკუთრებით, ჩავლეიშვილმა თამაში უკეთ წარმართეს. ჩავლეიშვილმა და ხვედელიძემ აამოქმედეს „ელმავლის“ მრისხანე და ნაცადი იარაღი — მეტოქის ზურგში ფეხით ბურთის ჩაწოდება მცველზე თავდასხმით, და, რომ იტყვიან, ხეირიც ნახეს. ამასთან, ჩავლეიშვილმა ზუსტი დარტყმებით საბოლოოდ დააწინაურა გუნდი (12:10), რამაც „ელმავალს“ გამარჯვების რწმენა შემატა და დარჩენილ დროში ორი ლელოც გაიტანა.

**ფრიდონ დვალიშვილი.**

**კვირას**, ვარკეთილის სტადიონზე, XVII-XXIV ადგილებისათვის მებრძოლმა თბილისის ასკ-მ ლატვიის ქალაქ იელგავის „რაფს“ უმასპინძლა. სანახაობრივად ერთობ მიმზიდველი თამაში ქართველი მორაგბეების გამარჯვებით დამთავრდა — 22:13 (10:3). ასკ-ს ქუთაისელმა გარე ნახევარმცველმა კახა მაჩიტიძემ ამ შეხვედრაში 2 არეკნი და 4 საჯარიმო შეაგდო, რითაც გუნდს 18 ქულა შესძინა.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# პირველი უცხოელი საბჭოთა კლუბში

**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

**დონეცკი.** ტურნირის პირველი სენსაცია სწორედ მეშახტეთა ქალაქში მოხდა, სადაც ადგილობრივი „შახტიორი“ სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს კიევის „ბუდიველნიკს“ ხვდებოდა. უკრაინის დედაქალაქის კალათბურთელებმა პირველი ტაიმი მინიმალური უპირატესობით მოიგეს — 54:53, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა აქტიური და შედეგიანი თამაშით ხელთ იგდეს ინიციატივა და 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს 108:98.

მეორე დღეს, ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში ჩემპიონმა რის ვაი-ვაგლახით აილო რევანში — 99:97 (54:49).

**ალმა-ათა.** ვერც არმიელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს. რიგის ვეფ-თან პირველ ორთაბრძოლაში გამარჯვება სტუმრებს დარჩათ 91:88, ალმაათელებმა კი მეორე შეხვედრა მოიგეს — 95:69.

**ვილნიუსი.** ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ადგილობრივმა „სტატიბამ“ ორი გასვლითი მატჩი ესტონეთის დედაქალაქში წააგო „კალევთან“. მარჩიულიონისის წასვლა უცხოეთში „სტატიბასათვის“ დიდი დანაკლისია და გუნდის ხელმძღვანელობამ მისი ანაზღაურება საკმაოდ ორიგინალური გზით გადაწყვიტა. კონტრაქტით მიღებული თანხის ნაწილით მან ახალი კონტრაქტი დადო კანადაში მცხოვრებ (ტორონტოში) ლიტველ კალათბურთელთან იონას კრაპისთან (სიმაღლე — 208 სანტიმეტრი). კრაპისი, რომელიც კანადის ოლიმპიური ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი იყო, სულ მალე ჩავა ვილნიუსში. იგი იქნება საბჭოთა კლუბებში მოთამაშე პირველი უცხოელი კალათბურთელი.

# ლიონის ტურნირზე

**უცხოურ** პრესაში იბეჭდება ინფორმაცია იმ ბლიცტურნირების შესახებ, რომლებიც ტარდება ევროპაში ახალი საკალათბურთო სეზონის წინ. ამჯერად საუბარი გვექნება ლიონში ჩატარებულ შეჯიბრებაზე. ეს ტურნირი იმითაა საინტერესო, რომ მასში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კიევის „ბუდიველნიკი“.

კიეველები ტურნირზე წარუმატებლად გამოვიდნენ, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ისინი შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ.

პირველ ტურში საფრანგეთის „ასველმა“ სძლია ზაგრების „ციბონას“ 77:72, ხოლო „ბუდიველნიკმა“ წააგო ამერიკელებთან — 99:82 (67:34). მესამე ადგილისათვის მატჩში „ციბონამ“ სძლია „ბუდიველნიკს“ — 94:82 (39:40). პირველი ადგილი ტურნირზე მოიპოვა „ასველმა“, რომელმაც სძლია ამერიკელთა ნახევრად პროფესიულ გუნდს — 94:77 (51:37).

**მერაბ კალანდაძე.**

# ვნებათა ღელვა მწვანე მაგიდასთან

## საქართველოს ჩემპიონატი ბილიარდში

**გივი კობოსნიძემ ძლიერხიანი მზერა გააყოლა ლუზაში გაუჩინარებულ ბურთს და ორივე ხელი კიისთან ერთად მაღლა აღმართა. მაყურებელმაც არ დაიშურა ოვაცია, — ისინი მიესალმებოდნენ საქართველოს 1989 წლის ჩემპიონს ბილიარდში.**

ვინც შეჯიბრებას ადევნებდა თვალს, ალბათ დარწმუნდა რომ გ. კობოსნიძის გამარჯვება კანონზომიერი იყო, ისევე, როგორც სხვა ფინალისტის — როსტომ მაჩაიძის მიერ მეორე ადგილის მოპოვება. დავით ბერსენიძე?.. იგი მეოთხედფინალში გამოეთიშა ბრძოლას, შემდეგ გვითხრა, ხელი მტკივა (ბილიარდის მიზეზით არა) და ამჟამად ვმკურნალობო.

მაშ ასე, საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონატმა ბილიარდში წარმატებით ჩაიარა. დარწმუნებული ვართ, რომ მათ, ვინც ადრე



გივი კობოსნიძე

თავგამოდებით იბრძოდა ბილიარდის აკრძალვისათვის და ახლაც არის მზად ამისთვის, საკუთარი თვალით ენახათ შეჯიბრება, შეიცვლიდნენ აზრს ან დაეჭვდებოდნენ მაინც მის სისწორეში. არადა, ასეთმა „ალერგიამ“ ბილიარდის მიმართ თითქმის მთლიანად ჩაკლა ამ თამაშის კერები თბილისში. მუშტაიდის პარკში მთელი სამოცი წელი იდგა ბილიარდის მაგიდები, ბევრი მოყვარული იყრიდა იქ თავს. ისიც გამოკეტეს „ზემოდან“ ბრძანებით. უფრო ადრე ასეთი ბედი ეწია სხვა კერებსაც.

ბილიარდისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი ალბათ ყველასთვის ცნობილია: ოფიციალური ხელისუფალნი სათამაშო კლუბებს აზარტული თამაშის ბუნაგად თვლიდნენ. მართალი უნდა ითქვას, ამ აზრის გავრცელებას თვით სათამაშო ადგილების ინტერიერიც უწყობდა ხელს; ულაზათო, „ჩამოძენძილი“ და სიგარეტის ბოლით გამჭვარტლული ოთახები, რომელიც მართლაც ჰგავდა საეჭვო ადგილს. მაგრამ იმაზე კი არავინ ზრუნავდა, რომ მათთვის სათანადო იერი მიეცათ და „კულტურულ“ დაწესებულებად ექციათ. ხოლო ფულზე თამაშს კი, ადამიანი თუ მოინდომებს, ლოტოშიც მოახერხებს. არავისთვის უცხო არ უნდა იყოს იატაკქვეშა ტოტალიზატორის ამბავი, თუნდაც ფეხბურთში.

თუ მართლაც „დემოკრატიულად“ განვსჯით, კაცი, რომელიც ბილიარდის დიდი მოყვარულია და თავისუფალ დროს სიამოვნებით იღებს ხელში კიის, არ უნდა აიძულო დაივიწყოს საკუთარი გატაცება და ითამაშოს, ვთქვათ, მაგიდის ჩოგბურთი. მით უმეტეს ახლა, როცა მთელს ქვეყანაში ფართოდ ეხსნება გზა ბილიარდის განვითარებას, უკვე ჩამოყალიბდა საკავშირო ფედერაციაც. რადგან სიტყვამ მოიტანა, ვსვამთ კითხვას: როდის შეიქმნება საქართველოს ფედერაცია? ცხადია, დამოუკიდებელ ორგანიზაციას ვგულისხმობთ და არა საკავშირო ფედერაციის დანამატს. სხვათა შორის, სულ მალე ტაშკენტში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში საბჭოთა კავშირისა და აზიის ქვეყნების მოთამაშეთა მონაწილეობით. იქ იასპარეზებენ გივი კობოსნიძე, როსტომ მაჩაიძე, დავით ბერსენიძე და შესაძლოა, სხვებიც ჩვენი რესპუბლიკიდან...

გ. კობოსნიძემ ფინალში გამარჯვება ძალზე ძნელ ორთაბრძოლაში მოიპოვა. არადა, თავდაპირველად საამისო არაფერი ჩანდა: კობოსნიძემ მოიგო პირველი ორი პარტია ანგარიშებით 76:50 და 67:63 (ბოლო ბურთით), იგი წინ იყო მესამე პარტიაშიც. მაგრამ რ. მაჩაიძემ ზედიზედ ოთხი ზუსტი დარტყმა შეასრულა და პარტია გადა-



როსტომ მაჩაიძე

არჩინა — 65:65 (ბოლო ბურთი).

ვინც კარგად ვერ ერკვევა ბილიარდის წესებში, მათთვის ვიტყვით, რომ მონაწილეები თამაშობდნენ ე. წ. პირამიდას, სადაც გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც პირველი მოაგროვებს 71 ქულას. მაგიდაზე 16 ბურთია 1-დან 15-მდე ნომრით, მეთექვსმეტე — დასარტყმელია. თუ თამაშში ორიდა დარჩა მაგიდაზე, იგებს ის, ვინც ბოლო მათგანს ჩააგდებს.

თამაშის ბედი მეოთხე პარტიაში, კვლავ თანაბარ ორთაბრძოლაში გადაწყდა. ერთ ეპიზოდში მაჩაიძემ, 49 წლის მშენებელმა ინჟინერმა, სიზუსტე ვერ გამოიჩინა, რითაც კარგად ისარგებლა მისმა უალრესად გამოცდილმა მეტოქემ და შეასრულა ის ზუსტი დარტყმა, რომელზედაც ამ წერილის დასაწყისში გიამბეთ. საქართველოს ჩემპიონი ბილიარდში 56 წლისაა, იგი თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორის მოადგილეა, თბილისში რომელი ბილიარდის მოყვარულისთვის არ არის ცნობილი გივი კობოსნიძის ოსტატობა.

მესამე ადგილზე ასევე საინტერესო შეხვედრა გაიმართა, ცხინვალელმა ინჟინერმა ურუზბეკ ბეკოევმა ორი თითქმის უიმედო პარტია მოიგო, რითაც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი — 31:74; 71:9; 76:64,



ურუზბეკ ბეკოევი

77:57. იგი თბილისელ ჯემალ მესხს ხვდებოდა.

კიროვის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლის დარბაზი, სადაც ჩემპიონატი მიმდინარეობდა, რესპექტაბელურ საბილიარდო კლუბს ჰგავდა — იქ თითქმის ყველა იცნობდა ერთმანეთს, მაგრამ დარბაზის ფოიე შესვენებაზე მუშტაიდის პარკის გულშემატკივართა კუთხეს ემსგავსებოდა, ოღონდ იქ გოლებზე კი არა, ჩემპიონატის მონაწილეთა ამა თუ იმ დარტყმაზე კამათობდნენ. იგონებდნენ ძველ გამოჩენილ მოთამაშეებსაც.

უ. ბეკოევი საკმაოდ მაღალი აზრის იყო საქართველოს ჩემპიონატზე. იგი მოსკოვში სწავლობდა და იქ ხშირად გამოდიოდა ამ ქალაქის ლია ჩემპიონატებში. „ეს შეჯიბრებები მოსკოვის ტურნირებს მცირედ თუ ჩამორჩება“, — თქვა შეჯიბრების მესამე პრიზიორმა.

ბოლოს ვესაუბრეთ დავით ბერსენიძეს. ალბათ ბევრმა იცის, რომ იგი მოსკოვში მონაწილეობდა ფირმა „ჩელეკის“ მიერ მოწყობილ ტურნირში, სადაც ამერიკულმა „უორლდ კორპორეიშნ“-მა საპრიზო ფონდად 200 ათასი დოლარი დააწესა. ბერსენიძემ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ დაპირებული ჯილდო — 35 ათასი დოლარი არ მიუღია. საქმე ის არის, რომ ფირმა მარტო დანიური კი არა, ერთობლივი — საბჭოთა-დანიურია და პირის გატეხა ამით აიხსნება — ამერიკელთა დოლარები „ჩელეკს“ გასაცემად დაენანა.

● **თქვენ გითამაშიათ იხეთ აღიარებულ უცხოელ ოსტატთან, როგორიც არის ფინელი ანტი საარი. როგორ ფიქრობთ, ამ ჩემპიონატის პრიზიორები გაუმკლავდებოდნენ თუ არა ფინეთის ათგზის ჩემპიონს?**

— მე ამას არავის საწყენად არ ვამბობ, მაგრამ უცხოეთში ბილიარდის ისეთი დონეა, ჩვენ ქვეყნისთვის მისაღწევად ჯერ-ჯერობით თუ შეგვიძლია. ანტი საარი წინდაწინ 15-20 ქულიან ფორას მისცემს ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოთამაშეს. მე მოსკოვში ნახევარფინალში შევხვდი მას და გამოგიტყდებით, ფაქტობრივად არც მითამაშია, ყველა პარტია მას მიჰყავდა. სხვათა შორის, პრესაში არაზუსტი ცნობები გამოქვეყნდა, მოსკოველმა აშოტ პოტოკიანმა მასთან ყაიმით დაამთავრა შეხვედრაო. საქმე კი ასე იყო: ანტი საარიმ დამაჯერებლად მოიგო პირველი ორი პარტია, იგებდა მესამესაც, მაგრამ პარტია გაჭიანურდა, ანტისაარის თვითმფრინავზე აგვიანდებოდა და მეტოქეს ჯენტლმენურად შესთავაზა ყაიმი. აი, ბატონი თემურ დონაძეც იქ გახლდათ, მსაჯი იყო და ამასვე დაგიდასტურებთ.

**თემურ დონაძე:** ანტი საარი მართლაც მთელი თავით მაღლა იდგა ყველა მონაწილეზე. მაგრამ მე ისიც მინდა გითხრათ, რომ უფრო დიდი განსხვავებაა ამ მაგიდებსა და იმათ შორის, რომლებზედაც მოსკოვის ტურნირი ჩატარდა. ისინი უცხოეთიდან ჩამოიტანეს.

● **რამდენად შესაძლებელია, ოსტატობით დაუახლოვდეთ უცხოელ მოთამაშეებს?**

**დ. ბერსენიძე:** იმედი კი მაქვს, მაგრამ ეს ჯერჯერობით შეუძლებელი ამოცანაა. უცხოეთში მთელი თეორიებია შექმნილი ბილიარდში. ჩვენ კი არაფერი ვიცით მათს შესახებ, ვთამაშობთ, როგორც ჩვენ მიგვაჩნია სწორად. ანტისაარიმ ერთი იშვიათი წიგნი მაჩუქა, ის ალბათ ერთადერთია მთელ ქვეყანაში. ახლა ვთარგმნით. მინდა გავავრცელო და სხვებსაც დავურიგო. აუცილებლად საჭიროა უცხოელ სპეციალისტთა კონსულტაცია, იქ, კიდევ ვიმეორებ, ბილიარდს სულ სხვა დონეზე თამაშობენ. თანაც სხვა თამაშებში იმართება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები: სნუკერში, კარამბოლში, კეგლში...

ჩემპიონატის ბოლოს ჩატარდა საჩვენებელი თამაში ე. წ. ამერიკანკაში. ამ „იოლმა“ თამაშმა, ცხადია, მეტი ხალისი გამოიწვია, მაგრამ ჩქარა დამთავრდა, — ოთხივე მაგიდაზე ბურთების ლაწა-ლუწი ატყდა და ისე ჩქარა დამთავრდა ყველაფერი, მაყურებლებმა ხეირიანად ვერც კი იხილეს შეჯიბრება.

მთლიანად კი შეჯიბრების ორგანიზატორების (საქართველოს ალკკ-ს კომიტეტი და სპორტსახკომი) ჩანაფიქრი კარგად ასრულდა; ჩემპიონატმა მეტად საინტერესოდ ჩაიარა. ორგანიზატორებმა დიდი საორგანიზაციო სამუშაოები გასწიეს და საკმაოდ მნიშვნელოვანი პრიზებიც დააწესეს, რომლებიც საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცათ.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

## სსრ კავშირის პირველობა

# ჭაბუკთა მრავალდღიანი

**ვანში** ჩატარდა საკავშირო პირველობა მრავალდღიან ველორბოლაში ჭაბუკთა (1971-1972 წწ დაბადებულნი) შორის. ცხრა ეტაპად დაყოფილი დისტანცია 875 კილომეტრს შეადგენდა. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო თვრამეტმა გუნდმა (108 მონაწილე).

საქართველო წარმოდგენილი იყო ორი გუნდით — რესპუბლიკის ნაკრებითა და სკოლა-ინტერნატის სპორტსმენებით. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი უძლიერესი ველოსიპედისტები გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე გამართულ საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეობენ, ვანში ფაქტიურად მეორე გუნდი გამოდიოდა, სკოლა-ინტერნატის კოლექტივი კი 1973-1974 წწ. დაბადებული ველოსიპედისტებით ასპარეზობდა.

ყველაზე რთულ და გრძელ ეტაპზე (ვანი — ქუთაისი — მაიაკოვსკი — საირმე) თავი გამოიჩინა და გამარჯვება მოიპოვა მამუკა შუბითიძემ. პირად ჩათვლაში უძლიერესთა სამეული გამოიყურებოდა ასე: ანატოლი დრანკინი (გორკი) — 18:56.36, ალექსი დოლგი (კუიბიშევი) — 18:57.40, ანტონ ვასინი (ხაბაროვსკი) — 18:59.35. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა უკრაინის ველო-ცენტრის „ტემპის“ კოლექტივმა.

ჩვენი ნაკრები მერვე ადგილზე გავიდა (ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ მეშვიდე ეტაპზე ველოსიპედი დაუზიანდათ მ. შუბითიძესა და ს. მალცევს). სკოლა-ინტერნატის ნორჩ ველოსიპედისტებს თვრამეტ გუნდში მეთოთხმეტე ადგილი ხვდათ.

წელიწადის ამ დროს დასავლეთ საქართველოს გზები ჩვეულებისამებრ გადატვირთულია. ამის გამო შეჯიბრების ნორმალურად ჩატარება ბევრად იყო დამოკიდებული ავტოინსპექციის მუშაკთა ნორმალურ მუშაობაზე. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო და ველოსიპედისტებს ხელი არ შეშლიათ.

**ავთანდილ გუნია,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა „ავაზა“ აცხადებს 1978-1983 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.** მსურველთა გასინჯვა მოხდება ყოველდღე (10-დან 12 საათამდე, 15-დან 17 საათამდე) და გაგრძელდება 1 ნოემბრამდე. მისამართი: დიღმის მასივი, III კვარტალი, მე-18 კორპუსი, ტელეფონი — 51-55-11.

№1 უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა საქართველოს სპორტსახკომის საფინანსო სამმართველოს უფროსი

**შაქი პროკოფის ძე მანჯგალაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშტარიას, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10493